ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/48

ქ. თბილისი - 17 – მაისი , 2013 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის დირექტორის გიორგი პერტაიას სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს "საქმიანი ეზო", (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის თამარ ჭანკოტაძის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებელი ვალდებულია 2013 წლის 19 მაისიდან საწყობში 2013 წლის 18 ივნისის ჩათვლით შეინახოს შემსყიდველის მიერ დასასაწყობებლად ჩაბარებული საგამოფენო და საოფისე ინვენტარი, დანართი №1 – ის შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 63121100 (შენახვის მომსახურებები);

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 902 (ცხრაას ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას 2013 წლის 19 მაისიდან 2013 წლის 18 ივნისის ჩათვლით შეინახოს შემსყიდველის მიერ დასასაწყობებლად ჩაბარებული საგამოფენო და საოფისე ინვენტარი /დანართი №1/ და დროებით სარგებლობაში იჯარით გადასცეს შემსყიდველს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე, მიმწოდებლის საკუთრებაში მყოფ, შენობაში 184.26 კვ.მ ფართი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღებას ახორციელებს საქართველოს ერონული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან, ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. სახელმწიფოსთან საგადასახადო და სხვა სახის ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის და ოდენობის მომსახურება;

6.1.2. განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს შემსყიდველის ინტერესებს;

6.1.3. უზრუნველყოს დასაწყობებული ინვენტარის /დანართი №1/ უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა მესამე პირთა მხრიდან;

6.1.4. იჯარის ხელშეკრულების დასრულებისთანავე პირველად მდგომარეობაში დაუბრუნოს შემსყიდველს დასაწყობებული ინვენტარი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაიბაროს გაწეული მომსახურება, თუ მომსახურება შეესაბამება შეთანხმებულ ოდენობას და ხარისხს;

6.2.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს გაწეული მომსახურების საფასური.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1% ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

8.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა განზრახ ან გაუფრთხილებელი, არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 17 მაისიდან - 2013 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო 1 ეგზემპლარი – მიმწოდებელს).

11. დავის გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

11.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

12. ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული შემოწმება.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ურთიერთშეთანხმების აქტის გზით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

14.1. შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

14.1.1. მიწმოდებელი სისტემატურად არღვევს ან არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

14.1.2. შემსყიდველი გადაწყვეტს რომ აღნიშნული მომსახურება საჭიროებას აღარ წარმოადგენს;

14.1.3. შემსყიდველისათვის მომსახურების მიღებამდე ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.4. შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მატერიალური ან სხვა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების გამო საფრთხე ექმნება მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებას;

14.1.5. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ფორს მაჟორული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.1.6. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4. ამ ხელშეკრულების 14.1.2., 14.1.3, 14.1.4. და 14.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ-ს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“,	შ.პ.ს "საქმიანი ეზო"
დირექტორი	დირექტორი
ს/კ №204990082	ს/კ №429 319 597
/გიორგი ბერტაია/	/თამარ ჭანკოტაძე/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8	დუშეთი, დაბა ჯინვალი, ვ.ფშაველას №1
ეროვნული ბანკი	ს.ს "ბანკი ქართუ" კრწანისის ფილიალი
ა/ა №200122900	ა/ა № GE69 CR00 3008 6102 6936 08
ბანკის კოდი 220101222	

დანართი 1

N	ინვენტარი		
1	არკა სტანდარტული	8	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
2	არკა სტანდარტული*	50	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
3	დიდი კარადები	32	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
4	დიდი ნახევარსფეროები ფოიეს ცენტრში	2	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
5	კოლონების ზედა ტუმბოები	68	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
6	კოლონების რკინის კონსტრუქციები	68	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
7	კოლონების ქვედა ტუმბოები	68	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
8	კუთხის დიდი კარადები	8	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
9	კუთხის პატარა კარადები	8	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
10	ლამპიონები	10	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
11	მაგიდები	61	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
12	მართკუთხა საინფორმაციო დაფა	6	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
13	ოვალური საინფორმაციო დაფა	55	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
14	პატარა კარადები	7	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
15	სახურავი არასტანდარტული	8	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
16	სახურავი სტანდარტული	50	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ
17	სკამები	10	სოფ. დიღმის ასახვევი, თოფჩიშვილის ხიდის მიმდებარედ

შ.პ.ს. „საქმიანი ეზო" დირექტორი: - თამარ ჭანკოტაძე